

## 2017 წლის საერთაშორისო ანგარიში საქართველოში რელიგიის თავისუფლების შესახებ

### მიმოხილვა

კონსტიტუციით დაცულია „რელიგიის სრული თავისუფლება“, ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნა და ყველა მოქალაქის თანასწორობა რელიგიის მიუხედავად. კონსტიტუცია კრძალავს მოქალაქის დევნას რელიგიის საფუძველზე. კანონები და პოლიტიკა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას (სმე) ანიჭებს პრივილეგიებს, რომელიც სხვა რელიგიურ ჯგუფებს არ გააჩნიათ, რომელთა შორისაა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქის სამართლებრივი ხელშეუხებლობა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკონსულტაციო როლი განათლების სფეროში. მმართველი პარტიის საკონსტიტუციო ცვლილებები საკამათო აღმოჩნდა, რადგან ჩანდა, რომ ცვლილებები ეროვნული უსაფრთხოების მოტივით რელიგიის თავისუფლებას ზღუდავდა. მოგვიანებით პარლამენტმა საკამათო ცვლილებები, რომელიც კონსტიტუციაში რელიგიის თავისუფლების შესახებ ჩანაწერს ეხებოდა, ჩაასწორა, რითაც რელიგიის თავისუფლების შესაძლო შეზღუდვის შესახებ სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ექსპერტების წუხილს უპასუხა. მთავრობამ რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი სავარაუდო დანაშაულის შვიდი საქმე გამოიძია. არასამთავრობო ორგანიზაციები და სახალხო დამცველის ოფისი კვლავ იუწყებოდნენ რელიგიური სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა არაეფექტურ გამოძიებების შესახებ, [რელიგიური სიძულვილი] პრობლემად რჩებოდა. სახალხო დამცველის ოფისის ცნობით, საანგარიშო წლის განმავლობაში მასთან რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებული ძალადობის მხოლოდ სამი საქმე შევიდა, რაც დადმავალი ტენდენციის მანიშნებელია. ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია და რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფი კვლავ იუწყებოდა, რომ ეროვნული და ადგილობრივი ხელისუფლება ეწინააღმდეგებოდა რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფების მიერ რელიგიური დანიშნულების შენობების აშენებას. მაგალითად, მუსლიმი თემის წარმომადგენლები იუწყებოდნენ, რომ ბათუმში ადგილობრივი მთავრობა მეჩეთის გაფართოების ან ახალი მეჩეთის მშენებლობის საკითხზე გადაწყვეტილებებს შეფერხებით და გაუმჭვირვალედ იღებდა. ზოგიერთი რელიგიური და არასამთავრობო ორგანიზაცია რელიგიის საქმეთა სახელმწიფო სააგენტოს (რომელსაც რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსაც უწოდებენ) გაუმჭვირვალე საქმიანობისათვის აკრიტიკებდა, რადგან ის ვერ ახერხებდა ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის პრინციპის ხელშეწყობას, საბჭოეთის დროს ჩამორთმეული შენობების დაბრუნების საკითხში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ ფავორიტიზმს ეწეოდა და საჯარო სკოლებში რელიგიური შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის შემთხვევებზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასარგებლოდ არაადეკვატურად რეაგირებდა. რელიგიის საქმეთა სახელმწიფო სააგენტო ანაწილებდა მთავრობის მიერ გამოყოფილ კომპენსაციას „საბჭოეთის დროს რელიგიური ჯგუფებისათვის მიყენებული

ნივთიერი და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად“ და ასრულებდა რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობათა საკითხებში მთავრობის საკონსულტაციო ორგანოს ფუნქციებს.

რელიგიურ საქმიანობათა შეზღუდვები გრძელდებოდა აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის რეგიონებში, რომელიც ცენტრალური მთავრობის კონტროლის მიღმა რჩებოდა. რელიგიის საქმეთა სახელმწიფო სააგენტოს ანგარიშის თანახმად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმსახურები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში რელიგიურ მსახურებებს ვერ ატარებდნენ. იანვარში, აფხაზეთში საწვრთნელი მოედნის ასაშენებლად ადგილის გაწმენდისას რუსმა ჯარისკაცებმა სოფელ წებელდაში ეკლესიასა და ახლომდებარე სასაფლაოს ბულდოზერით გადაუარეს. 17 ოქტომბერს სამხრეთი ოსეთის დე-ფაქტო „უზენაესმა სასამართლომ“ აკრძალა იეჰოვას მოწმეთა ორგანიზაცია, როგორც ექსტრემისტული ორგანიზაცია. იეჰოვას მოწმეთა ორგანიზაცია კვლავ აკრძალული იყო აფხაზეთში.

გავრცელდა ცნობები რელიგიურ უმცირესობათა წინააღმდეგ ვანდალიზმისა და ძალადობის შესახებ. იეჰოვას მოწმეებმა მათ წევრებზე ფიზიკური თავდასხმის 10 შემთხვევა აღრიცხეს. რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენლები კვლავ იუწყებოდნენ საზოგადოებაში გავრცელებული რწმენის შესახებ, რომ რელიგიური უმცირესობები საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და ქვეყნის კულტურულ ღირებულებებს საფრთხეს უქმნიდნენ. არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიის განვითარების ფონდმა“ (MDF) აღრიცხა სულ ცოტა 92 შემთხვევა, როდესაც ქვეყნის მედიაში რელიგიურად შეუწყნარებელი განცხადებები გაკეთდა.

აშშ-ის ელჩი და საელჩოს სხვა წარმომადგენლები განაგრძობდნენ მთავრობის მაღალჩინოსნებთან, მათ შორის რელიგიის საქმეთა სახელმწიფო სააგენტოს ხელმძღვანელობასთან, აგრეთვე ადამიანის უფლებათა და გენდერის საკითხებში პრემიერ-მინისტრის მრჩეველთან შეხვედრებს, რათა მთავრობისა და რელიგიური უმცირესობების დიალოგისთვის შეეწყოთ ხელი. ელჩი რამდენჯერმე შეხვდა მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქს და რელიგიური მრავალფეროვნებისა და შემწყნარებლობის ხელშეწყობაში მართლმადიდებელი ეკლესიის როლს გაუსვა ხაზი. ელჩი და საელჩოს სხვა წარმომადგენლები მოგზაურობდნენ ქვეყნის გარშემო და ხვდებოდნენ რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლებს. საელჩომ დააფინანსა მართლმადიდებელი ეკლესიის ოთხი წარმომადგენლის მონაწილეობა აშშ-ში გამართულ პროგრამაში, რომელიც რელიგიის თავისუფლებისა და რელიგიათშორის საკითხებს ეხებოდა.

## **ნაწილი I. რელიგიური დემოგრაფია**

აშშ-ის მთავრობის შეფასებით, ქვეყნის მოსახლეობა 4.9 მილიონია (2017 წლის ივლისის შეფასებით). 2014 წლის აღწერის თანახმად, ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანები მოსახლეობის 83.4 პროცენტს შეადგენენ, მუსლიმები - 10.7 პროცენტს, სომხური სამოციქულო ეკლესიის მიმდევრები - 2.9 პროცენტს. აღწერის თანახმად, მოსახლეობის დარჩენილი 3 პროცენტი რომის კათოლიკე ეკლესიის მრევლი, ქურთი

იეზიდი, ბერძენი მართლმადიდებელი, ებრაელი, აგრეთვე ბაპტისტების, იეჰოვას მოწმეების, ორმოცდაათიანელებისა და კრიშნის შემეცნების საერთაშორისო საზოგადოების მსგავსი მზარდი, არატრადიციული რელიგიური ჯგუფის წევრი ან ათეისტია.

ეთნიკურობას, რელიგიურ კუთვნილებასა და საცხოვრებელ რეგიონს შორის ძლიერი ურთიერთკავშირია. ეთნიკური ქართველების უმრავლესობა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წევრია. ეთნიკურად უმეტესად რუსების მცირე რაოდენობა თავს მიაკუთვნებს რამდენიმე მართლმადიდებელ ჯგუფს, მათ შორის, მალაკნებს, სტაროვერებსა და დუხოზორებს, რომელთაც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან კავშირი არ აქვთ. ეთნიკური აზერბაიჯანელები უმეტესად შიიტი მუსლიმები არიან და საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი რეგიონის, ქვემო ქართლის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ. სხვა მუსლიმური ჯგუფებია ეთნიკურად ქართველი მუსლიმები აჭარაში და ჩეჩენი ქისტები ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთში, რომელთა უმრავლესობა სუნიტი მუსლიმია. ეთნიკურად ქართველი სუნიტი მუსლიმები აჭარიდან 1980-იან წლებში სამცხე-ჯავახეთში გადასახლდნენ. ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა უმთავრესად სომხური სამოციქულო ეკლესიის მრევლია. სომეხები სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ.

აღწერის თანახმად, რომელიც, გავრცელებული ინფორმაციით, აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობამ 2011 წელს ჩაატარა, აფხაზეთში 241,000 მოსახლეა. დე-ფაქტო მთავრობის მიერ, სავარაუდოდ, 2003 წელს ჩატარებული აღწერის თანახმად, აფხაზეთის მოსახლეობის 60 პროცენტი ქრისტიანია, 16 პროცენტი მუსლიმი, 8 პროცენტი ათეისტი, 8 პროცენტი ქრისტიანობამდელი აფხაზური რელიგიის მიმდევარი და 1 პროცენტი იეჰოვას მიმდევარი, ებრაელი, ან სხვა რელიგიის მიმდევარია. მოსახლეობის დარჩენილი 7 პროცენტის შემთხვევაში მიმდევრობა არ სახელდება.

2015 წლის აღწერის თანახმად, რომელიც, გავრცელებული ინფორმაციით, სამხრეთი ოსეთის დე-ფაქტო მთავრობამ ჩაატარა, სამხრეთ ოსეთში 53,000 მოსახლეა. მოსახლეობის უმრავლესობა ქრისტიანულ რელიგიას მისდევს. დანარჩენები მუსლიმები და ქრისტიანობამდელი ოსური რელიგიის, „ჭემმარტი რწმენის“ მიმდევრები არიან.

## **ნაწილი II. მთავრობის მიერ რელიგიის თავისუფლების პატივისცემა.**

### **საკანონმდებლო ჩარჩო**

კონსტიტუცია კრძალავს დევნას რელიგიის ნიადაგზე და კრძალავს მოქალაქის იძულებას, გამოთქვას აზრი რელიგიის შესახებ. კონსტიტუცია აგრეთვე კრძალავს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებებს, რომლებიც რელიგიურ შუღლს აღვივებენ. კანონი უზრუნველყოფს რელიგიური რწმენის, კონფესიისა და სინდისის თავისუფლებას, მათ შორის რელიგიური კუთვნილების არჩევისა და შეცვლის უფლებას.

კონსტიტუცია აღიარებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში, მაგრამ ამბობს, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელია და ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობებს აწესრიგებს საკონსტიტუციო შეთანხმება (რომელსაც კონკორდატს უწოდებენ). კონკორდატი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესია ანიჭებს უფლებებს, რომელიც სხვა რელიგიურ ჯგუფებს არ გააჩნიათ, მათ შორის, საქართველოს მართლმადიდებელი პატრიარქის სამართლებრივი ხელშეუხებლობა, მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურთა გათავისუფლება სამხედრო სამსახურისაგან და საკონსულტაციო როლი მთავრობაში, განსაკუთრებით განათლების საკითხებში. კონკორდატის მიხედვით, ზოგიერთი მისი პირობის ამოქმედება, მათ შორის საგანმანათლებლო სფეროში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკონსულტაციო როლის შესახებ, დამატებითი კანონების მიღებას საჭიროებს.

რელიგიური ჯგუფს შეუძლია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (სრეს) საჯარო სამართლის იურიდიულ პირად (სსიპ) ან არაკომერციულ ორგანიზაციად დარეგისტრირდეს. ორივე სტატუსი არსებითად ერთსა და იმავე სარგებელს იძლევა, მათ შორის, საქმიანობის სამართლებრივ აღიარებას, ნაწილობრივ საგადასახადო შეღავათებს და ქონებისა ფლობისა და საბანკო ანგარიშის გახსნის უფლებას. დაურეგისტრირებელ რელიგიურ ჯგუფებს რელიგიური საქმიანობა შეუძლიათ, მაგრამ ვერ მიიღებენ სამართლებრივ სტატუსს ან სარგებელს, რომელიც რეგისტრირებულ ჯგუფებზე ვრცელდება.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დასარეგისტრირებელად ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს ქვეყანასთან ისტორიული კავშირები და რელიგიური ორგანიზაციის სტატუსის სამართლებრივი აღიარება ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოებისაგან. ამას გარდა, ორგანიზაციამ, რომელიც საჯარო სამართლის იურიდიულ პირად რეგისტრირდება, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში უნდა წარადგინოს ინფორმაცია მისი ამოცანებისა და საორგანიზაციო პროცედურების შესახებ და ჩამოწეროს ორგანიზაციის დამფუძნებელთა და მმართველი ორგანოს წევრთა სია. იმ კონფესიათა საქმიანობასა და უფლებებს, რომლებიც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით დარეგისტრირდნენ, სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს. არაკომერციულ რელიგიურ ორგანიზაციებად დარეგისტრირებული ჯგუფები ვალდებული არ არიან, წარმოადგინონ ქვეყანასთან ისტორიული კავშირები ან ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთაგან სამართლებრივი აღიარება, მაგრამ მათაც მოეთხოვებათ, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ორგანიზაციის ამოცანებისა და საორგანიზაციო პროცედურების შესახებ, აგრეთვე დამფუძნებელთა და მმართველი ორგანოს წევრთა სახელების წარდგენა.

საგადასახადო კოდექსი რელიგიურ საქმიანობას ეკონომიკურ საქმიანობად არ მიიჩნევს. ის რეგისტრირებულ რელიგიურ ჯგუფებს შემოწირულობებისათვის ნაწილობრივ საგადასახადო შეღავათს ანიჭებს. რელიგიური ჯგუფები, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა, გაყიდულ რელიგიურ პროდუქციაზე იხდიან მოგების გადასახადს, რელიგიური პროდუქციის შესყიდვის ან იმპორტისას -

დამატებული ღირებულების გადასახადს, აგრეთვე გადასახადებს ყველა საქმიანობისათვის, რომელიც მშენებლობას, რესტავრაციასა და რელიგიური შენობების შენახვას უკავშირდება.

რელიგიური ჯგუფები, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა, აგრეთვე იხდიან ქონების გადასახადს. სახელმწიფო საკუთრების შესახებ კანონის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირად დარეგისტრირებულ არცერთ რელიგიურ ორგანიზაციას, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა, არ აქვს უფლება, შეიძინოს სახელმწიფოს კუთვნილი არასასოფლო-სამეურნეო მიწა პირდაპირი მიყიდვის წესით. კონფესიას, რომელიც არაკომერციულ ორგანიზაციადაა დარეგისტრირებული, აქვს უფლება, შეიძინოს სახელმწიფო საკუთრება. კანონი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას აგრეთვე ანიჭებს უფლებას, მიიღოს სახელმწიფოს კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო მიწა უფასოდ, იმ დროს, როდესაც სხვა რელიგიურმა ჯგუფებმა მიწაში ფული უნდა გადაიხადონ.

სისხლის სამართლის კოდექსი კრძალავს რელიგიური მსახურებისათვის ხელის შეშლას, ადამიანის დევნას რელიგიური რწმენის ან მრწამსის გამო, აგრეთვე რელიგიური ორგანიზაციის დაფუძნებისათვის ხელის შეშლას, თუმცა კოდექსი არ განმარტავს, რას ნიშნავს „დაფუძნება“. კანონდარღვევა ისჯება ჯარიმით, პატიმრობით ან ორივე სასჯელით ერთად. მოხელის მიერ ჩადენილი კანონდარღვევა ითვლება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებად და ისჯება ჯარიმით ან ხანგრძლივი პატიმრობით, თუ ის ჩადენილია იარაღის მუქარით ან მსხვერპლის ღირსების შემლახავი ქმედებით. რელიგიური დევნის შემთხვევებში დამნაშავეს, შესაძლოა, სამწლიანი პატიმრობა მიესაჯოს იმის მიხედვით, დანაშაული მუქართაა ჩადენილი, თუ ძალადობით, დამნაშავე ოფიციალური პირია, თუ არა, და მიაყენა თუ არა მან მსხვერპლს ზარალი. რელიგიური მსახურების აღსრულებაში მუქარით ან ძალადობით უკანონო ხელის შეშლის შემთხვევებში, დამნაშავე, შესაძლოა, დააპატიმრონ ორ წლამდე ვადით ან, თუ დამნაშავეს ოფიციალური თანამდებობა უკავია, ხუთ წლამდე ვადითაც. რელიგიური ორგანიზაციის დაფუძნებისათვის ხელის შეშლა ისჯება ჯარიმით, გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან ორ წლამდე პატიმრობით.

კანონის თანახმად, მთავარი პროკურატურა ახდენს რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ ადამიანის უფლებათა დარღვევებზე სისხლისსამართლებრივ დევნას. მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველო თვალს ადევნებს რელიგიის თავისუფლების დაცვას, ხოლო სახალხო დამცველის ოფისის მოვალეობა კი ქვეყნის ადამიანის უფლებათა ომბუდსმენობა და რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის ფაქტებზე დაწერილი საჩივრების მონიტორინგია. სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი კოორდინაციას უწევს სახალხო დამცველის ოფისის რელიგიათა და ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოს, ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას, თვალს ადევნებს და აანალიზებს რელიგიური და ეთნიკური დისკრიმინაციისა და ქსენოფობიის შემთხვევებს.

რელიგიის საქმეთა სახელმწიფო სააგენტო მუსლიმურ, ებრაულ, რომის კათოლიკე და სომხური სამოციქულო ეკლესიის რელიგიურ ორგანიზაციებს, რომლებიც საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად არიან დარეგისტრირებულნი, უნაწილებს სახელმწიფო კომპენსაციას იმ „ნივთიერი და მორალური ზიანისათვის, რაც მათ საბჭოთა პერიოდში მიადგათ.“ რელიგიის საქმეთა სახელმწიფო სააგენტოს განცხადებით, მისი ამოცანაა თანასწორობისა და შემწყნარებლობის პრინციპებზე დაფუძნებული მშვიდობიანი თანაცხოვრების ხელშეწყობა და უზრუნველყოფა. სააგენტოს ვებგვერდის თანახმად, სააგენტოს პასუხისმგებლობათა შორისაა არსებული რელიგიური ვითარების შესწავლა და მთავრობისათვის ანგარიშის წარდგენა; მთავრობისათვის რეკომენდაციებისა და სამართლებრივი აქტების მომზადება; მთავრობის კონსულტანტობა და მთავრობის სახელით შუამავლობა უთანხმოებებისას, რომელიც რელიგიურ გაერთიანებებს შორის წარმოიშვება; აგრეთვე რელიგიურ ნაგებობათა მშენებლობის საკითხზე შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისათვის რეკომენდაციების შემუშავება, ნაგებობათა ადგილმდებარეობის განსაზღვრა და ამგვარ საკუთრებათა რელიგიური ორგანიზაციებისათვის გადაცემა.

მიუხედავად იმისა, რომ კანონის თანახმად, საჯარო სკოლები რელიგიური ინდოქტრინიზაციისათვის, პროზელიტიზმისა და იძულებითი ასიმილაციისათვის არ უნდა გამოიყენებოდეს, კონკორდატი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას უფლებას აძლევს, ასწავლოს რელიგია საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ნებას რთავს სახელმწიფოს, დააფინანსოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რელიგიური სკოლები. კანონი ამბობს, რომ მოსწავლეს უფლება აქვს, დაეუფლოს რელიგიურ განათლებას და ადასრულოს რელიგიური რიტუალები სკოლებში “საკუთარი სურვილით” რელიგიური განათლების მისაღებად, მაგრამ მხოლოდ სასკოლო საათების შემდეგ. კანონი არაფერს ამბობს კერძო რელიგიური სკოლებისათვის საგანგებო რეგულაციების შესახებ. გარეშე ინსტრუქტორებს, მათ შორის, რელიგიის მსახურებს, უფლება აქვთ, დაესწრონ ან უხელმძღვანელონ მოსწავლეთა მხოლოდ რელიგიურ განათლებას ან აქტივობებს, თუ ისინი მოწვეულნი არიან უშუალოდ მოსწავლეთა მიერ. სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებს ამ პროცესში ჩარევის უფლება არ აქვთ.

საქართველო სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის ხელმომწერი მხარეა.

## **მთავრობის ქმედებები**

*მიმოხილვა:* საანგარიშო წლის განმავლობაში მმართველმა პარტიამ მიიღო საკონსტიტუციო შესწორებები, რომელმაც კამათი გამოიწვია, რადგან ისე ჩანდა, რომ შესწორებები ეროვნული უსაფრთხოების მოტივით რელიგიის თავისუფლებას ზღუდავდა. მოგვიანებით პარლამენტმა საკამათო შესწორებები ჩაასწორა, რითაც უპასუხა სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ექსპერტების წუხილს რელიგიის თავისუფლების შესაძლო შეზღუდვასთან დაკავშირებით. ცვლილებების ძალაში შესვლა 2018 წლისთვის იგეგმებოდა. მთავარმა პროკურატურამ განაცხადა, რომ გამოიძია შვიდი საქმე, რომელიც სავარაუდოდ რელიგიური შეუწყნარებლობის

გამო ჩადენილ დანაშაულს ეხებოდა. მაგრამ წინა წლის მსგავსად, არასამთავრობოებისა და სახალხო დამცველის შეფასებით, მთავრობა რელიგიური სიძულვილით ჩადენილ დანაშაულს არაეფექტურად იძიებდა. არასამთავრობოები და რელიგიური უმცირესობები კვლავ გამოთქვამდნენ წუხილს მთავრობის ქმედებების გამო როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე, მათ შორის იმიტომ, რომ მთავრობა ეწინააღმდეგებოდა რელიგიურ უმცირესობათა მიერ სალოცავების მშენებლობას. ამას გარდა აღნიშნული ჯგუფების თქმით, მთავრობა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ ფავორიტიზმს იჩენდა საბჭოეთის დროს ჩამორთმეული შენობების რესტიტუციის საქმეში. არასამთავრობოები და რელიგიური უმცირესობები რელიგიის საქმეთა სააგენტოს მიერ საბჭოეთის დროს მიყენებული ზიანის საკომპენსაციო თანხის განაწილებასაც აკრიტიკებდნენ. მთავრობის წინააღმდეგობის შესახებ გავრცელებული ცნობების მიუხედავად, სასამართლოებმა სალოცავებისა და სკოლების მშენებლობის საკითხზე რელიგიური უმცირესობების სასარგებლო რამდენიმე გადაწყვეტილება გამოიტანეს. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია კვლავ ერთადერთი რელიგიური ორგანიზაცია იყო, რომელსაც სასჯელადსრულების დაწესებულებებში სალოცავების ქონის უფლება გააჩნდა. მთავრობის ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის შესაბამისად, რელიგიის საქმეთა სააგენტომ ეროვნული და ადგილობრივი მთავრობებისა და სამართალდამცველი უწყებების თანამშრომლებისათვის რელიგიური შემწყნარებლობის თემაზე აქტივობები და საგანმანათლებლო კურსები ჩაატარა. ზოგიერთმა არასამთავრობომ და სახალხო დამცველმა განაცხადეს, რომ მთავრობა არასათანადო ყურადღებას უთმობდა რელიგიური შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის შემთხვევებს საჯარო სკოლებში და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასარგებლოდ მოქმედებდა.

საანგარიშო წლის განმავლობაში მმართველმა პარტიამ, ქართულმა ოცნებამ, წამოაყენა მთელი რიგი საკონსტიტუციო ცვლილებები, მათ შორის ცვლილებები იმ საკონსტიტუციო მუხლში, რომელიც რწმენისა და სინდისის თავისუფლებას ეხებოდა. შემოთავაზებული ცვლილებები მთავრობას ეროვნული უსაფრთხოების მოტივით რელიგიურ საკითხებში „ჩარევის“ უფლებას აძლევდა. საკონსტიტუციო შესწორებათა პროექტის განხილვისას, ევროპის საბჭოს სამართლის დემოკრატიის დაცვის კომისიამ (ვენეციის კომისია) განაცხადა, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებით, „სახელმწიფოს არ შეუძლია მხოლოდ ეროვნული უსაფრთხოების დაცვის მოტივით შეზღუდოს ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის რელიგიის გამოხატვის უფლება.“ არასამთავრობოებმა და ადგილობრივმა რელიგიურმა ორგანიზაციებმა აგრეთვე განაცხადეს, რომ შესწორებები რელიგიური თავისუფლებისათვის პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენდა. სექტემბერში პარლამენტმა, ერთი პარტიის ხმებით, მხარი დაუჭირა შესწორებებს საკონსტიტუციო მუხლში, რომელიც რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას ეხებოდა. ნოემბერში პარლამენტმა საკონსტიტუციო შესწორებების ახალი პროცესი დაიწყო, მათ შორის, შეასწორა რელიგიის თავისუფლების შესახებ მუხლის ფორმულირება და ის სექტემბრის საკონსტიტუციო ცვლილებებამდე არსებულ ფორმულირებას დაუახლოვა. არასამთავრობოებმა მოიწონეს ახალი ფორმულირება, რომლიდანაც ამოღებული იყო მთავრობისათვის ნებართვის მინიჭება, ჩაერიოს რელიგიურ

საქმეებში ეროვნული უსაფრთხოების მოტივით. პარლამენტმა ნოემბრის ცვლილებებს ორი მოსმენით კენჭი დეკემბერში უყარა, ხოლო საბოლოო კენჭისყრა 2018 წლისათვის იყო დაგეგმილი. თავდაპირველი შესწორებების მსგავსად, მთავრობამ ეს შესწორებებიც ოპოზიციის მხარდაჭერის გარეშე მოიწონა.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ განაჩინა, რომ მთავრობამ დაარღვია ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მუხლი რელიგიური თავისუფლების შესახებ 2001 წელს, იეჰოვას მოწმეთა ყოველწლიურ ყრილობაზე ბრბოს რელიგიურად მოტივირებული ძალადობრივი თავდასხმისას. მოლაპარაკებათა ჩაშლის შემდეგ, 2005 წელს საქმე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაეცა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაირღვა იეჰოვას მოწმეთა უფლება შეხვედრებზე აღმსარებლობის თავისუფლების შესახებ. მთავრობა თითოეული მომჩივანისათვის 800 ევროს (960 დოლარი), ხოლო იეჰოვას მოწმეთათვის, როგორც ჯგუფისათვის, 2,000 ევროს (2,400 დოლარი) გადახდას დათანხმდა.

მთავარმა პროკურატურამ გამოიძია სავარაუდო რელიგიური შეუწყნარებლობით ჩადენილი სიძულვილის დანაშაულის შვიდი საქმე. შვიდი საქმიდან ერთი შეეხებოდა ცემას, ოთხი - დევნას, ერთი - დევნასთან ერთად ქონების დაზიანებას ან განადგურებას და ერთი - სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას. მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, ამ საქმეთაგან სამი რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის მუხლით გამოიძიეს. შვიდი საქმიდან არცერთი არ შეწყვეტილა.

მთავრობის ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის შესაბამისად, რელიგიის საქმეთა სახელმწიფო სააგენტომ შეიმუშავა და ჩაატარა კურსები რელიგიური შემწყნარებლობის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ადგილობრივი სამართალდამცველი და სამოქალაქო უწყებების 200-ზე მეტი თანამშრომლისათვის.

არასამთავრობო ორგანიზაციამ „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტმა“ (TDI) კვლავ განაცხადა, რომ რელიგიური სიძულვილის გამო ჩადენილ დანაშაულებებს არაეფექტურად იძიებდნენ. სახალხო დამცველის დეკემბრის ანგარიშში ნათქვამია, რომ საანგარიშო წლის განმავლობაში სახალხო დამცველის ოფისში რელიგიური შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულთა სამი საქმე შევიდა, რაც, სახალხო დამცველის ანგარიშის თანახმად, დადმავალ ტენდენციაზე მიუთითებს. თუმცა სახალხო დამცველის თანახმად, წინა წლების საქმეები უმთავრესად გამოუძიებელი რჩებოდა.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდის თანახმად, სააგენტომ წლის განმავლობაში შეტანილი განცხადებებიდან ორი რელიგიური ორგანიზაციის რეგისტრაციის თხოვნა დააკმაყოფილა და კიდევ ორის რეგისტრაციაზე უარი თქვა. საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ განაცხადა, რომ რეგისტრაციაზე უარი თქვა, რადგან განცხადებები წესდების მოთხოვნებს არ შეესაბამებოდა. სააგენტოს ვებგვერდზე დაზუსტებული არ არის, თუ რამდენი განაცხადი შევიდა რეგისტრაციის თხოვნით და რომელ რელიგიურ ორგანიზაციებს უთხრეს უარი. სააგენტოს



ვებგვერდის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირად 46 რელიგიური ორგანიზაცია იყო დარეგისტრირებული.

სასჯელალსრულების უმეტეს დაწესებულებებში კვლავ განთავსებული იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სალოცავები, მაგრამ არაკონფესიური რელიგიური მსახურებისათვის განკუთვნილი ადგილები არ გააჩნდათ. რელიგიის საქმეთა სახელმწიფო სააგენტოს თანახმად, რომის კათოლიკე, სომხური სამოციქულო ეკლესიის, ბაპტისტური, მუსლიმური და ებრაული აღმსარებლობის პირებისათვის მოთხოვნის შემთხვევაში რელიგიური მსახურება ხელმისაწვდომი იყო სამხედრო სამსახურში ან სასჯელალსრულების დაწესებულებაში. ტოლერანტობის ცენტრის ინფორმაციით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა სხვა რელიგიური ორგანიზაციები კვლავ აწყდებოდნენ მთავრობის წინააღმდეგობას, როდესაც რელიგიური შენობების მშენებლობის ნებართვის მიღებას ცდილობდნენ. ცენტრი მთავრობის წინააღმდეგობას მართლმადიდებელი ეკლესიის სასარგებლოდ „ზოგადი საზოგადოებრივი მიკერძოებით“ ხსნიდა.

„ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის“ თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ კანონი მშენებლობის ნებართვის მაძიებელი პირების მიმართ თანასწორ მოპყრობას ითხოვს, რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენლები ხშირად აწყდებოდნენ დისკრიმინაციას. მშენებლობის ნებართვებს ადგილობრივი თვითმმართველობები გასცემენ. „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის“ ინფორმაციით, „მუნიციპალიტეტების დისკრიმინაციული დამოკიდებულების გამო, რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლებს ხშირად დაბრკოლებები ექმნებათ.“ ინსტიტუტმა აგრეთვე აღნიშნა ამ პროცესში რელიგიის საქმეთა სახელმწიფო სააგენტოს „პრობლემური როლი“, როდესაც ის „ლეგიტიმური მოტივისა და კანონიერი საფუძვლის გარეშე“ ადგილობრივი თვითმმართველობების უფლებამოსილებებში ერეოდა.

სომხური სამოციქულო ეკლესია კვლავ ითხოვდა თბილისში არსებული ხუთი და ახალციხეში არსებული ერთი ეკლესიის დაბრუნებას. აღნიშნული ეკლესიები რეგისტრირებულია როგორც სახელმწიფო საკუთრება და მათზე სომხური სამოციქულო და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიები აცხადებენ პრეტენზიას. სომხური სამოციქულო ეკლესიის ინფორმაციით, ის საქართველოში 57 ეკლესიას განაგებდა, მაგრამ არცერთი ნაგებობა მისი საკუთრება არ იყო. სომხურმა სამოციქულო ეკლესიამ რელიგიის საქმეთა სახელმწიფო სააგენტოს 20 ეკლესიის საკუთრებაში გადაცემის, ან შენობათა გამოყენების თხოვნით 2015 წელს, დანარჩენი ეკლესიების გადაცემის ან გამოყენების თხოვნით კი საანგარიშო წელს მიმართა. წლის ბოლოსთვის რელიგიის საქმეთა სახელმწიფო სააგენტოს პასუხი მიღებული ჯერ არ იყო.

არასამთავრობოებმა და მუსლიმური თემის ზოგიერთმა ლიდერმა განაცხადეს, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოზე“ (AMAG) მთავრობის გავლენა გრძელდებოდა, რაც მუსლიმთა სამმართველოს რელიგიურ ლიდერთა დანიშვნასაც მოიცავდა.

მუსლიმური თემის წევრების განცხადებით, მეჩეთებთან და მათ მშენებლობასთან დაკავშირებით მთავრობის გადაწყვეტილებები არ იყო გამჭვირვალე. მუსლიმური თემი კვლავ დაობდა ქვემო ქართლში, ადიგენსა და აჭარაში მთავრობის საკუთრებაში არსებული მეჩეთების გამო. მუსლიმური თემის ლიდერები და ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები ვერ თანხმდებოდნენ ყველა მხარისათვის მისაღებ გამოსავალზე, რასაც მლოცველებით გადავსებული, სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ბათუმის მეჩეთის პრობლემა უნდა გადაეჭრა.

თებერვალში აჭარის ადგილობრივმა ორგანიზაციამ, „ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდი“, ბათუმის მერიას მეჩეთის მშენებლობის ნებართვისათვის მიმართა. „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ (EMC) ცნობით, 2016 წელს ბათუმის მუსლიმური თემის ზოგიერთმა წევრმა მეჩეთის მშენებლობისათვის ფულის შეგროვება დაიწყო და კერძო პირისაგან თანხის ეტაპობრივი გადახდით მიწის ნაკვეთი შეიძინა. შეიქმნა მეჩეთის არქიტექტურული გეგმაც. მაისში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ პირველი სამშენებლო ნებართვის (მშენებლობისათვის მიწის გამოყენების პირობების განსაზღვრა) გაცემაზე უარი თქვა იმ საფუძველზე, რომ ადგილი, სადაც მიწის ნაკვეთი მდებარეობს, უმეტესად საცხოვრებელი ზონაა და მისი სამომავლო განაშენიანება საცხოვრებელი სახლებით უნდა მომხდარიყო. „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ შეფასებით, მერიის გადაწყვეტილება იყო „უკანონო, დაუსაბუთებელი და დისკრიმინაციის ვარაუდის საფუძველს იძლეოდა.“ ივნისში ცენტრმა მშენებლობის ნებართვაზე უარის გამო სასამართლოს მიმართა. სასამართლომ საქმე წარმოებაში მიიღო, მაგრამ დეკემბრის მდგომარეობით, სარჩელი განხილული არ ჰქონდა. მაისში მუსლიმური თემის ზოგიერთმა წევრმა შეძენილ მიწის ნაკვეთზე ლოცვა დაიწყო და იქ დროებითი ნაგებობა აღმართა. იმავე თვეს ბათუმის მერიამ მშენებლობის დაუყოვნებელი შეჩერება მოითხოვა, 3,000 ლარის (1,100 დოლარი) ჯარიმა დააკისრა და ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნება ბრძანა. „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა“ და „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტმა“ მერიის ბრძანება დროებითი ნაგებობის დანგრევის შესახებ სასამართლოში გაასაჩივრეს. დეკემბრის მდგომარეობით, ადგილობრივ სასამართლოს საქმე განხილული არ ჰქონდა. აჭარის მუსლიმური თემის ზოგიერთი წარმომადგენელი ეწინააღმდეგებოდა ბათუმის არსებული მეჩეთის გაფართოებას (ახალი მეჩეთის აშენების სასარგებლოდ) და ამბობდა, რომ გაფართოების შემთხვევაშიც მეჩეთი მაინც მცირე ზომის იქნებოდა და ადგილობრივ მუსლიმ მოსახლეობას ვერ დაიტევდა. დეკემბერში სახალხო დამცველის ოფისმა განაცხადა, რომ ბათუმში ახალი მეჩეთის აშენების საკითხი გადაუწყვეტელი იყო.

მაისში, რელიგიის საქმეთა სახელმწიფო სააგენტოს კომისიამ, რომელიც 2014 წელს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სოფელ მოხეში რელიგიური ნაგებობის საკუთრებაზე დაწყებული დავის გადასაჭრელად შეიქმნა, გამოსცა რეკომენდაცია, რომ შენობა კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოს გადასცემოდა, ხოლო ადგილობრივი თემისათვის მეჩეთის ასაშენებლად მიწის ახალი ნაკვეთი გამოეყო. ადგილობრივი მუსლიმები ამბობდნენ, რომ შენობა მათ ეკუთვნოდათ, რადგან ის მე-

20 საუკუნის მეჩეთი იყო. შენობის საკუთრებაზე პრეტენზიას აცხადებდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიაც და ამბობდა, რომ ტერიტორია ყოფილი მართლმადიდებლური ეკლესიის ადგილი იყო. წლის ბოლოსათვის ახალი მეჩეთის მშენებლობა გრძელდებოდა. სადაო შენობას კი, სახელმწიფო სააგენტოს ინფორმაციით, ღობე ჰქონდა შემოვლებული და დაცული იყო, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. სახალხო დამცველის ოფისმა განაცხადა, რომ რელიგიის საქმეთა სახელმწიფო სააგენტოს კომისიამ შენობის წარმომავლობისა და მესაკუთრის დადგენის ამოცანას თავი ვერ გაართვა.

მთავრობა განაგრძობდა იმ რელიგიურ საკუთრებათა რესტავრაციას, რომელსაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად მიიჩნევდა. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ საანგარიშო წლის განმავლობაში რელიგიური ძეგლების აღსადგენად 977,344 ლარი (374,000 დოლარი) გამოყო, მათ შორის 156,000 ლარი (59,800 დოლარი) საპროექტო ნახაზებისათვის და 821,344 ლარი (315,000 დოლარი) რეაბილიტაციისათვის, კონსერვაციისა და ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის.

ივნისში უზენაესმა სასამართლომ განაცხადა, რომ არ გადახედავდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის სექტემბრის განჩინებას, რომლის თანახმად ქობულეთის მაცხოვრებლებმა 2014 წელს მუსლიმთა მომავალი სკოლა-პანსიონის შენობის კარზე ღორის თავის დაჭედებითა და იქვე ჯვრის აღმართვით მუსლიმთა უფლებები შელახეს. სასამართლოს გადაწყვეტილებით, პირებს, რომლებიც ვანდალიზმში მონაწილეობდნენ, კომპენსაციის გადახდა დაეკისრათ. აპრილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და არ განიხილა, მონაწილეობდა თუ არა შინაგან საქმეთა სამინისტრო მუსლიმთა წინააღმდეგ ჩადენილ დისკრიმინაციაში 2014 წლის ინციდენტისას, როდესაც პოლიციამ ქობულეთის მაცხოვრებელთა ქმედებები არ აღკვეთა. ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. უზენაეს სასამართლოს წლის მიწურულს საქმის წარმოებაში მიღების გადაწყვეტილება ჯერ არ ჰქონდა მიღებული. წლის ბოლოს სკოლა-პანსიონი გახსნილი ჯერ არ იყო.

არასამთავრობოები კვლავ იუწყებოდნენ სკოლებში რელიგიური დისკრიმინაციის შესახებ, მათ შორის, რელიგიის გაკვეთილებზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის თეოლოგიის წამოწევას, მართლმადიდებლური ლოცვების ჩატარებას საკლასო ოთახებში, აგრეთვე სკოლებში ხატებისა და სხვა რელიგიური სიმბოლოების გამოფენას, მიუხედავად იმისა, რომ კანონი პროზელიტიზმს კრძალავს. მასწავლებელთა არასათანადო საქციელთან დაკავშირებულ საჩივრებზე პასუხისმგებელი კვლავ განათლების სამინისტროს გენერალური ინსპექცია იყო. „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის“ ანგარიშის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ კანონი ზოგადი განათლების შესახებ რელიგიურ ნეიტრალიტეტსა და არადისკრიმინაციას უზრუნველყოფს, საჯარო სკოლებში რელიგიურ განათლებას ჯიუტად აგრძელებდნენ.

„ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის“ ცნობით, თებერვალში საკონსტიტუციო სასამართლომ წარმოებაში მიიღო რელიგიურ ორგანიზაციათა ჯგუფის სარჩელის ნაწილი, რომელიც მთავრობას სახელმწიფო ქონების მართლმადიდებელი ეკლესიისათვის გადაცემის პროცესში დისკრიმინაციაში ადანაშაულებდა. სარჩელი სასამართლოში თავდაპირველად 2016 წლის აგვისტოში სრულიად საქართველოს მუსლიმთა კავშირმა (არასამთავრობო ორგანიზაცია), საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტურმა ეკლესიამ, საქართველოს ორმოცდაათიანელთა ეკლესიამ, საქართველოს ევანგელურ-ლუთერანულმა ეკლესიამ და საქართველოს დახსნილ ქრისტიანთა საღვთო ეკლესიამ (მას თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის საკონსტიტუციო სამართლის კლინიკა და „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი“ წარმოადგენდნენ) შეიტანეს.

ივლისში საკონსტიტუციო სასამართლომ 2015 წლის ოქტომბერში ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაციის, საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის, ქართველ მუსლიმთა კავშირის, საქართველოს ორმოცდაათიანელთა ეკლესიის, მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის ტრანს-კავკასიური გაერთიანების, საქართველოს სიცოცხლის სიტყვის ეკლესიის, წმინდა სამების ეკლესიისა და ქრისტეს ეკლესიის სარჩელის არსებითი განხილვა დაიწყო. ამ სარჩელით რელიგიური ორგანიზაციები ყველა რელიგიური გაერთიანებისათვის ერთნაირ საგადასახადო სტატუსს ითხოვდნენ. 2016 წლის განმავლობაში სასამართლომ განხილვა რამდენჯერმე გადადო - როგორც თქვეს, სათანადო ექსპერტის არარსებობის მოტივით. „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტმა“, რომელიც თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის კლინიკასთან ერთად მოსარჩელე მხარეებს წარმოადგენს, განაცხადა, რომ წლის ბოლოსათვის საკონსტიტუციო სასამართლოს საქმეზე გადაწყვეტილება მიღებული ჯერ არ ჰქონდა.

მთავრობამ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას საბჭოთა დროს მიყენებული „ნივთიერი და მორალური ზიანის“ საკომპენსაციოდ 25 მილიონი ლარი (9.58 მილიონი დოლარი) გამოუყო. ამასთან, პარლამენტის 2014 წლის რეზოლუციის შესაბამისად, რომელიც მთავრობას ნებას რთავს საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დარეგისტრირებულ ისლამურ, ებრაულ, რომის კათოლიკე და სომხური სამოციქულო ეკლესიებს კომპენსაცია გადაუხადოს, რელიგიის საქმეთა სახელმწიფო სააგენტომ, ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, ხსენებულ ოთხ რელიგიურ ჯგუფს საკომპენსაციო ფონდიდან 4.5 მილიონი ლარი (1.72 მილიონი დოლარი) გაუნაწილა. არასამთავრობოები კვლავ ეჭვქვეშ აყენებდნენ კრიტერიუმებს, რომელსაც მთავრობა ოთხი რელიგიური ჯგუფის შერჩევას იყენებდა და მას სხვა რელიგიური ჯგუფების გარიყვისათვის აკრიტიკებდნენ.

რელიგიის საქმეთა სახელმწიფო სააგენტოს ცნობით, წლის განმავლობაში მთავრობის კომპენსაცია ასე განაწილდა: 2.75 მილიონი ლარი (1.05 მილიონი დოლარი) მუსლიმურ თემს და მის წარმომადგენელ სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს; 550,000 ლარი (211,000 დოლარი) - რომის კათოლიკე ეკლესიას; 800,000 ლარი (307,000 დოლარი) - სომხურ სამოციქულო ეკლესიას და 400,000 ლარი

(153,000 დოლარი) - ებრაულ თემს. სააგენტომ ფულის განაწილებისას კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ კომპენსაცია „ნაწილობრივია და სიმბოლური“ და რომ მთავრობა კონფესიათა შერჩევას მხედველობაში იღებს [წარსულში] მიყენებული ზიანის მასშტაბს და მათ „დღევანდელ მძიმე პირობებს.“

2015 წლის ნოემბერში, თბილისის გარეუბან ვაზისუბანში, იეჰოვას მოწმეთა სამეფო დარბაზთან ორჯერ მომხდარი სროლის გამოძიებაში პროგრესი არ ყოფილა. ინციდენტებისას არავინ დაშავებულა. იეჰოვას მოწმეთა განცხადებით, ვაზისუბნის სამეფო დარბაზი 2015 წლის დეკემბერშიც დაზიანდა. შემთხვევის შესახებ პოლიციას შეატყობინეს და სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. წლის ბოლოსათვის სამი საქმიდან არცერთი გამოძიებული არ იყო.

### **საგარეო ძალებისა და არასახელმწიფო აქტიორთა მიერ ჩადენილი დარღვევები**

აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის მიღმა რჩებოდა. აღნიშნული რეგიონებიდან სანდო ინფორმაციის მოპოვება გართულებული იყო. აფხაზეთში მიღებული დე-ფაქტო „კონსტიტუციის“ თანახმად, კანონის წინაშე ყველა მოქალაქე თანასწორია, განურჩევლად რელიგიური მრწამსისა, და ყველა სარგებლობს რელიგიის თავისუფლებით. აკრძალულია გაერთიანებებისა და პარტიების ჩამოყალიბება, რომელთა მიზანი რელიგიური შუღლის გაღვივებაა.

სამხრეთი ოსეთში მედია წყაროების თანახმად, დე-ფაქტო „უზენაესმა სასამართლომ“ იეჰოვას მოწმეები უკანონოდ გამოაცხადა. ამავე დროს, აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობა იეჰოვას მოწმეთა საქმიანობას კვლავ კრძალავდა. გავრცელებული ინფორმაციით, აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობა აპირებდა კანონის მიღებას და 50,00-100,000 (860-1,700 დოლარი) რუბლის ჯარიმის შემოღებას იმ პირებისათვის, რომლებიც რელიგიურ ჯგუფებს უძრავ ქონებას მიაქირავებდნენ.

მედია და ონლაინ-წყაროების ცნობით, აფხაზეთში რელიგიის მსახურები რეგიონის ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვებას შეეცადნენ. ზოგიერთ ადგილობრივ რელიგიურ ლიდერს რეგიონში არსებული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მონასტრების რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვემდებარებაში გადაყვანა სურდა, სხვებს კი კონსტანტინოპოლის ეკუმენიკური პატრიარქის დაქვემდებარებაში გადასვლა სურდათ. ნოემბერში საქართველოსა და რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიებმა გამოაცხადეს, რომ ამ დაპირისპირებათა გამო სამუშაო ჯგუფს ქმნიან.

აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდლებს გალის რაიონში შესვლისა და ღვთისმსახურების უფლება არ მისცა. ეთნიკურ ქართველებს მშობლიურ ენაზე ღვთისმსახურების მოსმენის საშუალება არ ჰქონდათ. რელიგიის საქმეთა სახელმწიფო სააგენტოს ცნობით, რაიონის ქართულ მოსახლეობას რელიგიური დღესასწაულების აღსანიშნავად საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადასვლა უწევდათ.

სახელმწიფო სააგენტოს ანგარიშის თანახმად, სამხრეთ ოსეთში რელიგიური ძეგლების მონიტორინგი ვერ ტარდებოდა და მათი უმრავლესობის მდგომარეობა უცნობი იყო.

გავრცელებული ინფორმაციით, იანვარში რუსმა სამხედროებმა მე-19 საუკუნის ეკლესია და სასაფლაო დაანგრიეს, რათა სასროლეთი მოეწყოთ.

### **ნაწილი III. საზოგადოების მიერ რელიგიური თავისუფლების პატივისცემა**

იეჰოვას მოწმეები კვლავ იუწყებოდნენ მათ რელიგიურ საქმიანობაში ხელის შეშლის შესახებ, რაც აგრეთვე მოიცავდა ფიზიკური თავდასხმის 10 შემთხვევას. იეჰოვას მოწმეთა ანგარიშის თანახმად, 5 აპრილს იეჰოვას ორი მოწმე რელიგიურ ლიტერატურას არიგებდა, როდესაც მამაკაცი ეზოდან გამოვიდა, მათ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და გაუპატიურებით დაემუქრა. იეჰოვას მოწმეები შემთხვევის ადგილიდან გაიქცნენ. მას შემდეგ, რაც უცნობი პირი მათ დაედევნა და „სექტანტები“ და „სატანისტები“ უძახა, დაზარალებულებმა პოლიციაში დარეკეს.

გრძელდებოდა სისხლის სამართლის საქმის გამოძიება 2016 წელს ბიბლიის გამავრცელებელ იეჰოვას მოწმე ორ ქალბატონზე ალექსანდრეს ბაღში მომხდარი თავდასხმის საქმეზე. წლის მიწურულს სასამართლო განხილვები გრძელდებოდა.

რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლები კვლავ იუწყებოდნენ, მათივე სიტყვებით, საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული რწმენის შესახებ, რომ რელიგიური უმცირესობები საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიისა და ქვეყნის კულტურულ ღირებულებებს საფრთხეს უქმნიან. რელიგიური უმცირესობები, მათ შორის მუსლიმები, იეჰოვას მოწმეები, კათოლიკეები და პროტესტანტები, კვლავ საუბრობდნენ იმ წინააღმდეგობათა შესახებ, რომელსაც სალოცავებისა და რელიგიური სკოლების გახსნისას აწყდებოდნენ.

ივლისში ათასობით პირმა თბილისის ცენტრში მსვლელობა მოაწყო და უკანონო ემიგრაციის დასრულება მოითხოვა, მათ შორის - ზოგიერთი მუსლიმური სახელმწიფოდან; აგრეთვე მოითხოვა მეტი შეზღუდვა უცხოელთათვის ბინადრობის მინიჭების საკითხში; სამოქალაქო ორგანიზაციების უცხოეთიდან დაფინანსების აკრძალვა და უფრო მკაცრი საიმეგრაციო კანონმდებლობის შემოღება. მსვლელობის ორგანიზატორი რამდენიმე ნაციონალისტური ჯგუფის ლიდერთაგან შემდგარი ალიანსი იყო. ორგანიზატორთა შორის იყო ქართული ოცნების მთავრობაში დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ყოფილი მოადგილე.

იანვრიდან ოქტომბრამდე - ბოლო ხელმისაწვდომი ცნობები ოქტომბრით თარიღდებოდა - მედიის განვითარების ფონდმა აღრიცხა სულ ცოტა 92 შემთხვევა, როდესაც მედიის წარმომადგენლებმა, პოლიტიკურმა პარტიებმა, სასულიერო პირებმა, საჯარო ორგანიზაციებმა და სხვებმა რელიგიურად შეუწყნარებელი განცხადებები ტელევიზიით, ელექტრონულ და ბეჭდურ მედიაში გააკეთეს. შემთხვევები მოიცავდა 49 „ისლამოფობიურ“ და „თურქოფობიურ“ განცხადებას,

რომელიც ახალი მეჩეთების მშენებლობას უკავშირდებოდა; ოთხ ანტი-კათოლიკურ განცხადებას; 24 განცხადებას იეჰოვას მოწმეთა წინააღმდეგ, ორ განცხადებას საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის წინააღმდეგ, ერთ განცხადებას სომხების და ექვს განცხადებას სხვა რელიგიური ჯგუფების წინააღმდეგ. მაგალითად, ზოგიერთ განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ მუსლიმები ტერორისტები და პედოფილები არიან.

იეჰოვას მოწმეებმა გაავრცელეს ინფორმაცია მათი საკუთრების დაზიანებისა და ვანდალიზმის ორი შემთხვევის შესახებ. 17 ივნისს, იეჰოვას მოწმეთა სამეფო დარბაზის ფანჯარაზე, ორგანიზაციის წევრებმა ინგლისურ ენაზე დაწერილი შეურაცხმყოფელი წარწერები აღმოაჩინეს, შენობის ფასადზე კი ამოყირავებული ჯვარი და სვასტიკა იყო დახატული. ინციდენტის შესახებ ეცნობა პოლიციას, რომელმაც გამოძიება დაიწყო.

#### **ნაწილი IV. აშშ-ის მთავრობის პოლიტიკა და ჩართულობა**

ელჩი და აშშ-ის საელჩოს თანამშრომლები რეგულარულად ხვდებოდნენ მთავრობის, მათ შორის, რელიგიის საქმეთა სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენლებს, პრემიერ-მინისტრის მრჩეველს ადამიანის უფლებათა და გენდერული თანასწორობის საკითხებში და პრეზიდენტის მრჩეველს ეთნიკურ უმცირესობათა საკითხებში, რათა რელიგიის თავისუფლების მხარდაჭერა გამოეხატათ. ისინი ხვდებოდნენ სახალხო დამცველის ოფისის წევრებს და მის ოფისთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის წარმომადგენლებს.

საელჩო განაგრძობდა იმ არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრებს, რომლებიც რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობენ. მათ შორის არიან „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი“ და „კავშირი 21-ე საუკუნე“. საელჩო ხვდებოდა რელიგიური თემების ლიდერებსაც, რათა რელიგიური შემწყნარებლობისა და საზოგადოებაში რელიგიური უმცირესობების ინტეგრაციისათვის შეეწყო ხელი.

ელჩი და საელჩოს თანამშრომლები ხვდებოდნენ ტრადიციული და არატრადიციული კონფესიების ლიდერებს. საელჩოს თანამშრომლები რამდენჯერმე ეწვივნენ პანკისის ხეობას, ახალქალაქს, ქვემო ქართლისა და აჭარის რეგიონებს, სადაც შეხვდნენ ადგილობრივ რელიგიურ ლიდერებს სუნიტი მუსლიმური, სომხური სამოციქულო ეკლესიისა და შიიტი მუსლიმური თემებიდან. შეხვედრებისას საელჩოს თანამშრომლები კონფესიებს შორის ურთიერთგაგებაზე, დიალოგზე, პატივისცემასა და ყველა რელიგიის მშვიდობიან თანაცხოვრებაზე საუბრობდნენ.

ელჩი არაერთხელ შეხვდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქს, ილია II-ს. შეხვედრებისას ელჩი ხაზს უსვამდა მართლმადიდებელი ეკლესიის როლის მნიშვნელობას რელიგიური მრავალფეროვნებისა და შემწყნარებლობის ხელშეწყობის საკითხში.

სექტემბერში საელჩომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ოთხი წარმომადგენელი რელიგიის თავისუფლებისა და რელიგიათა ურთიერთობის საკითხებისადმი მიძღვნილი პროგრამით შეერთებულ შტატებში გაგზავნა. პროგრამა მოიცავდა ისეთ თემებს, როგორცაა აშშ-ის კანონმდებლობა, რომელიც ეკლესიასა და სახელმწიფოს მიჯნავს; რელიგიის თავისუფლება; რელიგიური ქონების საკუთრება და რელიგიათა შორის დიალოგი. მარტში საელჩოს თანამშრომლები მოხეში მუსლიმურ თემს ესტუმრნენ, რათა ახლოს გაცნობოდნენ თემის წუხილს რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებით. აპრილში საელჩოს თანამშრომლები ჩავიდნენ უმეტესად მუსლიმებით დასახლებულ ხულოს რაიონში, აგრეთვე ეწვივნენ ქობულეთის სკოლა-პანსიონს და მოისმინეს ადგილობრივთა წუხილი რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებით.